აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

23 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

**ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის
რეგისტრაციის შესახებ**

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 71-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია **,,სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება”** და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე